- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის წმინდა დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. შესაბამისად, კომპანია ყველა საგადასახადო კრედიტორულ ვალდებულებებთან ან დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს წარადგენს თითოეული საწარმოს მიხედვით, წმინდა საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში.

წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

კომპანიას არ გააჩნია საკუთრებაში მიწა და შენობა-ნაგებობები, ვინაიდან საქმიანობას იჯარით აღებულ ფართებში ახორციელებს. შესაბამისად, ამ კატეგორიის აქტივებზე ცვეთა არ ერიცხება. სხვა დანარჩენი ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში ღირებულებაზე მათი განაწილებით:

- | | |
|--|----------|
| • ელექტრონული მოწყობილობები და დანადგარები | 5-8 წელი |
| • ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5-8 წელი |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 5-8 წელი |
| • იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 5-8 წელი |

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ:

- ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და
- ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანია იჯარით ფლობს ფართს, რომელშიც განთავსებულია მისი სარეალიზაციო საქონელი. იჯარის ხელშეკრულებები ფორმდება 11 თვიდან 5 წლამდე ვადით. უძრავი ქონებასთან დაკავშირებულ იჯარების შემთხვევაში, როდესაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს, არ ხორციელდება საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტების გამოყოფა და სრულად განიხილება როგორც ერთიანი იჯარის კომპონენტი.

იჯარის პირობები ყოველი ცალკეული კონტრაქტისათვის ინდივიდუალური მოლაპარაკებების საგანია. ეს შეთანხმებები არ მოიცავენ რაიმე შემზღუდველ პირობებს (კოვენანტებს) გარდა იჯარით აღებული აქტივების უსაფრთხოებისა. აგრეთვე, დაუშვებელია მათი გამოყენება სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით. საიჯარო კონტრაქტები მოიცავს ცვლად მაჩვენებლებს, რის გამოც მისი საიმედოდ შეფასება და ფინანსურ იჯარად კლასიფიცირება არ ხდება. საიჯარო კონტრაქტები არ აკმაყოფილებს ფინანსურ იჯარად კლასიფიცირების კრიტერიუმებს, რის გამოც ის ანგარიშგებაში წარდგენილია საოპერაციო იჯარის ხარჯებად.

შპს მინისო ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გადახდილი ავანსები

კომპანიის გადახდილი ავანსები აღიარებულია თვითღირებულებით. ამ ავანსების არსებით ნაწილს წარმოადგენს საიჯარო ფართების იჯარების წინასწარ გადახდა. ეს ავანსები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება არა მიმდინარე აქტივების შემადგენლობაში, თუ იჯარის პერიოდი ერთ წელს აღემატება. გადახდილი ავანსი ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როცა კომპანია მიიღებს შესაბამის საიჯარო მომსახურებას.

თუ არსებობს ნიშნები იმისა, რომ იჯარის მომსახურება შეიძლება არ მიიღონ, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული დავალიანების არსებითი ნაწილი არის უცხოურ ვალუტაში და წარმოშობილია მთავარი მომწოდებლებისგან მიღებულ პროდუქციაზე. თითოეულ ამ ვალდებულებაზე განსაზღვრულია შესაბამისი დაფარვის ვადები, რათა უზრუნველყოფილი იყოს გადახდების დროულობა და მომწოდებლებთან ეფექტური ურთიერთობა.

ღივიდნდები

ღივიდნდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული ღივიდნდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებითი შენიშვნაში.

შემოსავალი რეალიზაციიდან

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- (გ) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება;
- (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

იმ შემთხვევაში თუ კომპანია ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, ოპერაცია არ მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, არ ხდება ამონაგების აღიარება. კომპანიამ შეიძლება შეინარჩუნოს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი როდესაც:

- (ა) საწარმოს მიერ კონკრეტული საქონლის გაყიდვიდან ამონაგების მიღება დამოკიდებულია მყიდველის მიერ ამ საქონლის გაყიდვაზე;
- (გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებულია გაგზავნილი საქონლის დამონტაჟება და ეს პირობა მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო ვალდებულებაა, რომელიც საწარმოს ჯერ არ შეუსრულებია;

გარიგების ფასი ნაწილდება თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე გაცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

თვითღირებულების ხარჯები

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს რეალიზებული საქონლის ღირებულებისა და მის წარმოებაზე გაწეული დანახარჯებისაგან. პერიოდის თვითღირებულების ხარჯად ჩამოწერილია იმ მარაგების შესაბამისი ღირებულება, რომლის რეალიზაციაც განხორციელდა საანგარიშო პერიოდში. ასევე პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს იმ პირდაპირ დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია სარეალიზაციოდ განკუთვნილი მარაგის მიღებასთან.

ხარჯები

მარკეტინგის და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს გაყიდვებთან და მიწოდებასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს, როგორიცაა რეკლამის ხარჯი, საწვავის და იჯარის ხარჯი, საბანკო მომსახურების ხარჯებს, მარაგების დასაწყობებისა და ქსელის მაღაზიების მომარაგებისთვის გამოყენებული ავტომობილების ცვეთის ხარჯებს და ხელფასის ხარჯს.

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოუქმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

შენიშვნა 3 - შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლები სრულად მოდის ცხოვრების სტილისა და საყოფაცხოვრებო პროდუქციის რეალიზაციიდან, რომელიც წარმოადგენს Miniso-ს ბრენდის პროდუქციას. კომპანია საქმიანობას ახორციელებს მის საკუთრებაში არსებული მაღაზიათა ქსელის მეშვეობით და ორიენტირებულია მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე.

	2024	2023
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	30,275,278	28,842,825
გაყიდვების წამახალისებელი აქციები	(565,293)	(164,160)
გაყიდული პროდუქციის უკან დაბრუნება	(48,347)	(38,052)
სულ შემოსავალი	29,661,638	28,640,613

შენიშვნა 4 - თვითღირებულების ხარჯი

	2024	2023
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	11,927,144	11,188,207
წუნდებულის ჩამოწერა	169,369	43,305
პროდუქციის დანაკლისი	37,479	107,801
თვითღირებულებაში ჩართული მასალები	19,645	138,047
საკომისიო ხარჯი	37,545	-
სულ თვითღირებულების ხარჯი	12,191,182	11,477,360

შპს მინისო ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების ასსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 5 - მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი

	2024	2023
რეკლამის ხარჯი	860,155	702,661
საიჯარო ქირა	3,565,135	3,058,400
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	417,326	343,077
დასუფთავების ხარჯი	58,465	52,646
კომუნიკაციის ხარჯი	70,992	59,993
რემონტის ხარჯი	55,356	59,992
საეჭვო მოთხოვნების ანარიცხების ხარჯი	-	3,817
რეალიზაციის და დისტრიბუციის დანახარჯები	5,027,428	4,280,587

შენიშვნა 6 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2024	2023
ხელფასის ხარჯი	5,195,092	4,109,812
ცვეთის ხარჯი	549,901	478,160
ამორტიზაციის ხარჯი	38,603	60,544
სამეურნეო ხარჯი	15,311	14,424
საბანკო ხარჯი	358,672	449,982
საბანკო გარანტიის ხარჯი	43,885	27,158
წარმომადგენლობითი ხარჯი	64,259	10,891
დაზღვევის ხარჯი	97,229	71,348
დაცვის ხარჯი	4,237	3,689
საგადასახადო ხარჯი	53,766	102,091
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯი	237,023	156,022
მივლინების ხარჯი	41,507	33,996
სხვა საერთო ხარჯები	211,998	174,924
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	6,911,484	5,693,042

შპს მინისო ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 7 - ძირითადი საშუალებები

	დანადგარები	ელექტრონული მოწყობილობები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
საწყისი ღირებულება						
საბალანსო ღირებულება	654	2,105,514	235,709	149,240	979,294	3,470,411
დაგროვილი ცვეთა	(343)	(1,032,778)	(85,880)	(85,191)	(343,559)	(1,547,751)
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	311	1,072,736	149,830	64,048	635,735	1,922,660
ძირითადი საშუალების დამატება	3,265	119,658	47,842	78,256	298,178	547,199
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	-	(18,694)	-	(30,850)	-	(49,544)
ცვეთის დარიცხვა	(373)	(286,984)	(32,874)	(24,045)	(133,884)	(478,160)
ჩამოწერილი აქტივის ცვეთა	-	11,858	-	10,012	-	21,870
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	3,204	898,574	164,797	97,422	800,029	1,964,025
ძირითადი საშუალების დამატება	636	155,439	110,268	44,061	207,340	517,743
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	-	(26,255)	-	-	-	(26,255)
ცვეთის დარიცხვა	(797)	(298,353)	(43,901)	(21,250)	(185,601)	(549,901)
ჩამოწერილი აქტივის ცვეთა	-	21,149	-	-	-	21,149
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	3,043	750,554	231,164	120,233	821,768	1,926,761
ბალანსი 31/12/2023	3,204	898,574	164,797	97,422	800,029	1,964,025
ბალანსი 31/12/2024	3,043	750,554	231,164	120,233	821,768	1,926,761

შპს მინისო ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)
შენიშვნა 8 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	12/31/2024	12/31/2023
გასაყიდად გამიზნული სასაქონლო-მატერიალური	7,727,285	3,444,009
სასაქონლო-მატერიალური მარაგები გზაში	2,935,213	2,077,072
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	105,864	51,914
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	10,768,361	5,572,994

*კომპანიის გასაყიდად გამიზნული სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს Miniso-ს ბრენდის პროდუქციას, რომელიც განთავსებულია საწყობებში შემდგომი რეალიზაციის მიზნით. ეს კატეგორია არ მოიცავს დაზიანებულ, არაბრუნვად ან ვადაგასულ მარაგებს, რაც უზრუნველყოფს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მხოლოდ იმ მარაგების ღირებულება, რომლებსაც გააჩნიათ რეალური საბაზრო პერსპექტივა.

შენიშვნა 9 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო მოთხოვნები რეალიზაციიდან	361,504	498,077
გადახდილი ავანსები	345,819	234,791
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	4,558	1,446
წინასწარ გადახდილი ხელფასები	-	-
ანარიცხები	(48,955)	(70,230)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	662,927	664,084

მოძრაობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხები შემდეგია:

	12/31/2024	12/31/2023
1 იანვარი	(70,230)	(66,413)
გაუფასურების რეზერვის ცვლილება	21,275	(3,817)
31 დეკემბერი	(48,955)	(70,230)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს მოკლევადიან მოთხოვნებს 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შენიშვნა 10 - ფული და ფულის ექვივალენტები

	12/31/2024	12/31/2023
ფული სალაროს ანგარიშზე	17,815	14,455
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	656,590	3,174,142
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	82,433	17,177
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	756,838	3,205,775

შენიშვნა 11 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	2,877,926	2,328,745
მიღებული ავანსები	2,625	1,132
გადასახდელი ხელფასები	211,233	231,501
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,091,784	2,561,378

12. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ არსებული წაყენებული არსებითი პრეტენზიები და სასამართლო დავები იდენტიფიცირებული არ არის. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა ასე გარე კონსულტაციების საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არანაირი საფუძველი შესაძლო სასამართლო პროცესის დაწყების, რომელიც გავლენას იქონიებს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

13 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტიორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან (დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რომ კომპანიის ოპერაციები და ტრანზაქციები (მაგალითად, გაყიდვები, შესყიდვები, სესხები) განხორციელებულია დამოუკიდებელ, არადაკავშირებულ პირებთან. მენეჯმენტის ეს განცხადება ადასტურებს, რომ კომპანია საქმიანობას აწარმოებს საბაზრო პრინციპების დაცვით, რაც ფინანსური ანგარიშგების ანალიზს უფრო მარტივსა და სანდოს ხდის.

წამყვან მენეჯმენტზე გაცემულმა ხელფასმა 2024 წელს შეადგინა 184,778 ლარი, ხოლო 2023 წელს 181,742 ლარი.

14. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში კომპანიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები და ოპერაციები არ განხორციელებულა, რომელიც შესაძლოა საჭიროებდეს ფინანსურ ანგარიშგებაში დაამატებთ წარდგენას.



შპს „მინისო ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

22 სექტემბერი, 2025

ზოგადი ინფორმაცია

შპს „მინისო ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) საქართველოში დაარსდა 2016 წლის 6 სექტემბერს ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 405164879. კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ანა კალანდაძის ქუჩა N 4. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცალო ვაჭრობა. კომპანია 2024 წლის ბოლოსთვის წარმოდგენილია 23 მაღაზიით.

კომპანიის კაპიტალის წილობრივი ფლობა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 იანვარი 2022
ლევან აროშიძე	33%	33%	33%
ნანა აროშიძე	17.5%	17.5%	17.5%
არჩილ აროშიძე	17%	17%	17%
იბრაიმ შალიკაძე	12.5%	12.5%	12.5%
ირაკლი გოგოლიშვილი	8%	8%	8%
გიორგი ჩიტაშვილი	5%	5%	5%
დავით შალიკაძე	5%	5%	5%
დავით ანდლულაძე	2%	2%	2%

კომპანიის საქმიანობა

შპს „მინისო ჯორჯია“ არის იაპონურ მაღაზიათა ქსელის MINISO - ს წარმომადგენლობა საქართველოში, საქართველოს ბაზარზე ის 2016 წლის

დეკემბრიდან ოპერირებს და უკვე 23 მაღაზიით არის წარმოდგენილი. შპს „მინისო ჯორჯია“ მუშაობს B2B, B2C და ელექტრონული კომერციის მიმართულებით.

შპს „მინისო ჯორჯია“ საქართველოში სამი ძირითადი მიმართულებით ვითარდება: უმაღლესი ხარისხი, ინდივიდუალური დიზაინით შექმნილი უნიკალური პროდუქტი და დაბალი ფასები. ჩვენი პროდუქცია ნებისმიერი ასაკის მომხმარებელზეა გათვლილი. მინისო-ში შესაძლებელია თავის მოვლის, ფუმფულა სათამაშოების, ყურასმენების და დინამიკების, ჩანთების, სასაჩუქრე ნივთების, თეთრეულის, სამზარეულოს აქსესუარების, სახლის აქსესუარების, სამკაულების, საყოფაცხოვრებო ნივთების და ელექტროაქსესუარების შეძენა, რომლებიც სხვა ცნობილი ბრენდების ლიცენზირებულ კოლექციებს წარმოადგენენ.

დასაქმება

კომპანია შპს „მინისო ჯორჯია“ -ში თანამშრომელთა შერჩევა წარმოებს მკაცრად განსაზღვრული პროფესიული კრიტერიუმების მიხედვით და არ არის დაშვებული რაიმე ნიშნის მიხედვით მათი დისკრიმინაცია.

თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება შედგება შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფიქსირებული ხელფასისა, გამომუშავებული ბონუსისგან და ზეგანაკვეთური დანამატისგან. კომპანია უზრუნველყოფს თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევას. კომპანია ზრუნავს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მათი პროფესიული განვითარების მიზნით.

შპს „მინისო ჯორჯია“-ს მთავარ ფასეულობას წარმოადგენს ხარისხი, დაბალი ფასები და მომხმარებლებზე ორიენტირებულობა. კომპანიის გრძელვადიანი წარმატების გარანტს წარმოადგენს მისი პასუხისმგებლობა, როგორც მომხმარებლების, ასევე კომპანიის პერსონალის მიმართ.

შპს „მინისო ჯორჯია“ თანამშრომლებს სთავაზობს სტაბილურ სამუშაო პირობებს და კარიერული განვითარების შესაძლებლობებს, მოქმედებს შრომის კოდექსის ნორმების შესაბამისად, იცავს დასაქმებულთა უფლებებს და უსაფრთხოების ნორმებს. მაღალია პერსონალის ჩართულობა კომპანიის ბიზნეს პროცესებში, რაც ხელს უწყობს მოტივაციისა და ეფექტურობის ამაღლებას.

თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2024 და 2023 წლის მდგომარეობით:

	2024	2023
თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა	310	233

სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის 2024 წლის მოლოდინი და შედეგები

კომპანიის შედეგები შეესაბამება 2024 წლის მოლოდინებსა და ფინანსურ პროგნოზს. ეს ნიშნავს, რომ 2024 წელს მიღებულმა შემოსავალმა მოლოდინები გაამართლა. ისტორიულად გაყიდვების საუკეთესო პერიოდი კომპანიის ოპერირების განმავლობაში არის კალენდარული მეოთხე კვარტალი. კომპანია ყოველწლიურად აჩვენებს ზრდას 2016 წლიდან.

მომხმარებელზე ორიენტირებულობის გაძლიერება:

შპს „მინისო ჯორჯია“-ს დღეს მრავალი მომხმარებელი ენდობა. მომდევნო პერიოდში უფრო გაფართოვდება მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომები. ამავე მიზნით 2025 წელს დაემატა ახალი ფილიალები.

ტერიტორიული ხელმისაწვდომობა:

ტერიტორიული ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი ცენტრალური მიმართულებაა კომპანიის სტრატეგიაში. შპს „მინისო ჯორჯია“ სამომავლოდაც გააფართოებს ქსელს. „კომპანია“ წარმოდგენილი იქნება თბილისის და ბათუმის ყველა ძირითად უბანში, ასევე ქუთაისსა და რუსთავში.

პერსონალის განვითარება:

კომპანია მუდმივად ზრუნავს საკუთარი თანამშრომლების განვითარებაზე. კომპანია ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული და სხვადასხვა ინსტრუმენტებით ანხორციელებს წამახალისებელ პროექტებს.

საცალო ვაჭრობის სფეროში არსებული კონკურენცია

საქართველოს საცალო ვაჭრობის ბაზარი მრავალფეროვანია, რაც მკაცრ კონკურენციას იწვევს თავის მხრივ. ბაზრის წილებს როგორც მსხვილი კომპანიები, ასევე პატარა კომპანიებიც ინაწილებენ. შპს „მინისო ჯორჯია“ დიდი კომპანიების ჩამონათვალშია, მაგრამ პატარა კომპანიებიც კონკრეტულ პროდუქტებზე მნიშვნელოვან კონკურენციას იწვევენ.

საცალო ვაჭრობის სფეროში არსებული კონკურენცია (გაგრძელება)

2024 წლისთვის კომპანიის კონკურენტებს წარმოადგენდნენ ბაზარზე არსებული საცალოდ მოვაჭრე სხვა მაღაზიები, როგორებიცაა:

- იოიოსო
- მუმუსო
- ბიბლუსი
- პეპელა
- სუპერ თოისი

ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 და 2023 წლებში ადგილი არ ჰქონია აქციების შეძენას კომპანიის მიერ.

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა

2024 და 2023 წლის განმავლობაში კომპანია არ ყოფილა ჩართული რაიმე კვლევის და განვითარების აქტივობაში.

მაკროეკონომიკური გარემო, რისკები და კონკურენცია

შპს „მინისო ჯორჯია“-ს სავაჭრო პროდუქტი 99-% იმპორტირებულია, შესაბამისად ფასების სტაბილურობა პირდაპირ კავშირშია ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის წარმართვასთან. საქართველო მცირე ზომის ღია ეკონომიკის ქვეყანაა. მიუხედავად დეფიციტის ბოლოდროინდელი შემცირებისა, იგი კვლავ მაღალია და ქვეყანა საგარეო წყაროებზე დამოკიდებული რჩება. შესაბამისად, მაღალია საქართველოს ეკონომიკის მგრძნობიარობა გლობალური და რეგიონული ეკონომიკური ზრდის შოკებისა და გლობალური ფინანსური პირობების ცვლილებების მიმართ. გარდა ამისა, საქართველოში ფინანსური სისტემის დოლარიზაცია ჯერ კიდევ მაღალია, რაც ამ შოკების ეფექტს ამწვავებს. სავალუტო რისკი საცალო ვაჭრობის სფეროში ყველაზე დიდ რისკად იკვეთება, ფასების სტაბილურობა დამოკიდებულია გაცვლითი კურსის სტაბილურობაზე. კომპანიის

ფინანსური რისკების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია კომპანიის 2023 და 2022 წლების ფინანსური მონაცემები:

	2024	2023
შემოსავალი	29661638	28,640,613
საოპერაციო მოგება	5,699,587	7,165,058
სულ აქტივები	14,180,334	11,503,830
სულ კაპიტალი	10,512,191	8,361,944
სულ ვალდებულებები	3,668,144	3,141,886

კომპანიის ფინანსური კოეფიციენტები 2024 და 2023 წლების მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
მოგების მარჟა	18%	25%
საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი	3,48	4,37
სისწრაფის კოეფიციენტი	176	126

კომპანიის არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის არაფინანსური მაჩვენებლები წინამდებარე დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი, რადგან აღნიშნული მაჩვენებლების წარმოდგენა არ იძლევა დამატებით სასარგებლო ინფორმაციას კომპანიის საქმიანობისა და მდგომარეობის გასაგებად. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის უფრო დეტალურად განხილვისათვის გაეცანით ფინანსურ ანგარიშგებას.

კომპანიის რისკები და გაურკვევლობები

რისკების მართვა წარმოადგენს კომპანიის სტრატეგიის კრიტიკულად მნიშვნელოვან საყრდენს, ვინაიდან მოსალოდნელმა დაბრკოლებებმა და გაურკვევლობებმა შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო გეგმებზე. კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. საქმიანობის პროცესში წამოჭრილ რისკებს, კომპანია მათი დროულად აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმებით უმკლავდება. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს: პროცედურებს, მონიტორინგს, შეზღუდვებს, ანალიზს, ავტომატიზაციას და სხვადასხვა სახის აუდიტს. ამ ნაწილში ის ძირითადი რისკები და გაურკვევლობებია გაანალიზებული, რომლის წინაშეც კომპანია დგას.

კომპანია საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

ბექა კიკალიშვილი

დირექტორი


მარია სააკოვა

მთავარი ბუღალტერი

კომპანიის რისკები და გაურკვევლობები

რისკების მართვა წარმოადგენს კომპანიის სტრატეგიის კრიტიკულად მნიშვნელოვან საყრდენს, ვინაიდან მოსალოდნელმა დაბრკოლებებმა და გაურკვევლობებმა შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო გეგმებზე. კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. საქმიანობის პროცესში წამოჭრილ რისკებს, კომპანია მათი დროულად აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმებით უმკლავდება. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს: პროცედურებს, მონიტორინგს, შეზღუდვებს, ანალიზს, ავტომატიზაციას და სხვადასხვა სახის აუდიტს. ამ ნაწილში ის ძირითადი რისკები და გაურკვევლობებია გაანალიზებული, რომლის წინაშეც კომპანია დგას.

კომპანია საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.



ბექა კიკალიშვილი

დირექტორი



მარია სააკოვა

მთავარი ბუღალტერი